№460 2016 წლის 17 მარტი ქ. თბილისი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის ქონების გაცვლაზე თანხმობის მიცემის თაობაზე

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მიეცეს თანხმობა, რომ შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბონაკოს“ (ს/კ №404851264) საკუთრებაში გადასცეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქ. რუსთავში, XX მიკრო/რაიონში, №5 სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე 730 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №02.03.02.140) შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბონაკოს“ საკუთრებაში არსებული, ქ. რუსთავში, ფიროსმანის ქუჩა №17ა-ში მდებარე 866 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული

შენობა-ნაგებობა №1-ის (განაშენიანების ფართით – 257.4 კვ.მ, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №02.05.07.353)) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, იმ პირობით, რომ შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბონაკო“ დაფარავს სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2016 წლის 29 თებერვლის №001037616 და 2016 წლის 29 თებერვლის №001049016 დასკვნებით დადგენილ, ამ პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებებს შორის არსებულ სხვაობას – 9260 (ცხრა ათას ორას სამოცი) ლარს, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**